წელიწადი 1-ლი   გაზ. ფასი 10 კ.   ტელეფონი № 76.   პარასკევი აგვისტოს 4   1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
ნახევარი წლით . . . 10 მან.
თვიურათ . . . 2 მან.
ცალკე ნუმერი ათი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
2 საათ. 3 მ.
2 საათის შემდეგ . . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ ს. მიქელაძისა
კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 94   ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 94

# მოქალაქენო,

## მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის საარჩევნო

# სიას № 4

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კანდიდატების სია:

## მიეცით ხმა

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას.

1. ყოველი ერი, ყოველი ხალხი, დიდი თუ პატარა, თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდეს. არ უნდა იყოს ერი გაბატონებული და ერი დამონავებული. ყველა ერი უნდა იყოს თანასწორი და თავისუფალი. ყოველი ერი თვითვე უნდა განაგებდეს თავის ბედს, აწესებდეს კანონებს, ადგენდეს მთავრობას.

საქართველო შეუერთდა რუსეთს, შეუერთდა იმ პირობით, რომ ქართველ ხალხს შინაგანი კანონმდებლობა, გამგებლობა ხელუხლებელი დარჩენოდა.

ეს ხელშეკრულობა რუსეთის ძველმა მთავრობამ დაარღვია, დასჩაგრა საქართველოს პოლიტიკური უფლებები.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იბრძვის ამ უფლებების აღდგენისთვის.

ყოველი ქართველი, რომელიც აღიარებს ერთა თანასწორობას, რომელსაც სწამს ქართველების ღირსება, რომელსაც უნდა, რომ ქართველი ხალხი არ იყოს დამცირებული სხვა ერთა შორის, ხმას მისცემს და ზნეობრივად გაამაგრებს იმ პარტიას, რომელიც იბრძვის საქართველოს უფლებათა აღსადგენად.

2. ქართველი ხალხის ცხოვრება კერძო საკუთრებაზეა დამყარებული. ჩვენი სოფლისა თუ ქალაქის მცხოვრები იმასა ცდილობს, რომ თავის საკუთრება გაზარდოს, გაამშვენიეროს და მეტი სარგებელი გამოაღებინოს.

ქართველო ხალხო, კერძო მესაკუთრენო! მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც იცავს კერძო საკუთრებას.

ნუ მისცემთ ხმას სოციალისტურ პარტიებს, რომელთა შორეული თუ მახლობელი მიზანია კერძო საკუთრების მოსპობა.

საქართველოს ბედმა არგუნა მდიდარი ბუნება, მაგრამ ქართველი ხალხი სიღარიბეში იხრჩობა. სწავლა განათლების გავრცელებას, გზების გაყვანას, ხალხის ჯანმრთელობისათვის ზრუნვას, გაჭირვებულთა და უძლურთა დახმარებას, ყოველ კეთილი საქმის გაკეთებას დიდი ხარჯი სჭირდება. ამ ხარჯის გაღება შეუძლებელია, სანამ ჩვენში სიმდიდრე არ დაგროვდება. სიმდიდრეს კი ქმნის ვაჭრობისა, მრეწველობისა და მეურნეობის განვითარება. ჩვენმა ხალხმა უკვე იგრძნო ვაჭრობა მრეწველობის და მეურნეობის მნიშვნელობა და უკვე ღონივრად ჰკიდებს საქმეს ხელს.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია იბრძვის ქართულ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად.

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, გაამაგრეთ იგი ზნეობრივად თქვენი თანაგრძნობით.

3. ქართველი ერის შენახვა, მისი ზრდისა და განვითარებისათვის ზრუნვა უზენაესი მიზანია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა. რათა ხალხი ცხოვრების დუხჭირ პირობებში არ დაბეჩავდეს, არ დაუძლურდეს სულიერად და ფიზიკურად, რათა ტვირთმძიმეთა და მაშვრალთათვის გაადვილდეს ბრძოლა თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საჭიროდ მიაჩნია დაკანონდეს: საყოველთაო განათლება, სიტყვის, კრების, კავშირის, გაფიცვის თავისუფლება, 8 საათის სამუშაო დღე, მცირე წლოვანთა დაცვა, ექსპლოატაციისა და დაბეჩავებისაგან და მთელი რიგი ისეთი ზომებისა, რა ზომებიც ხელს შეუწყობენ ქართველ ხალხს მოიკრიბოს ის დიდი ძალა, რომელიც საჭიროა რომ ქართველი ხალხი თავის ენერგიული შრომით, სულიერი და ნივთიერი კულტურით გაუთანასწორდეს დაწინაურებულ ერებს.

ამ დიდ მიზნებით უნდა გაიმსჭვალოს მთელი ქართველი ხალხი. გამოსთქვით თქვენი თანაგრძნობა! მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც იმ თავიდანვე ამ მიზნებისათვის იბრძვის.

4. ქალაქის გამგეობა რთული და ძნელი საქმეა. საჭიროა გაბედული, მაგრამ თან ფრთხილი და გაზომილი მოქმედება. მხოლოდ ასეთი მოქმედებით შეიძლება სკოლების გამრავლება, ქუჩების გაკეთება და გამშვენიერება, წყალსადენისა და კანალიზაციის მოწყობა, ტრამვაის გაყვანა, სნეულებასთან ბრძოლა — და ყველა ამისათვის საჭირო სახსრის გამონახვა.

ქუთაისის მკვიდრ მოქალაქეს, შეძლებულს და შეუძლებელს, მესაკუთრეს, ვაჭარ-მრეწველს, მუშას, მოხელეს, ყველას, ვინც კერძო საკუთრების ნიადაგზე სდგას, ვინც იზიარებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მიზნებს, თავისი რაოდენობის შესაფერი რიცხვი უნდა ჰყავდეს ხმოსნებისა ქალაქის საბჭოში.

მიეცით ხმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას!

---

1. **წერეთელი ვასილ** გიორგის ძე — ექიმი, პუბლიცისტი.
2. **ჯაფარიძე ტრიფონ** მიხეილის ძე — საეპარქიო ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი, თავმჯდომარე საისტ. და საეთნ. საზოგადოების, საგუბ. აღმასრ. კომიტეტის წევრი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი, პუბლიცისტი.
3. **კვირკელია დავით** ბესარიონის ძე — ნაფიცი ვექილი, გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ რედაქტორი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
4. **პურადაშვილი ივანე** ისაკის ძე — მმართველი აზოვ-დონის ბანკის ქუთაისის განყოფილებისა, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
5. **ხმალაძე ლაზარე** ვასილის ძე — პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
6. მაჭავარიანი ზაქარია კონსტანტინეს ძე — ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
7. ბარათაშვილი გრიგოლ საჩინოს ძე — ნაფიცი ვექილი, საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
8. მახარაძე რომანოზ ქაიხოსროს ძე — კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
9. იაკობიშვილი შიმშონ შალომის ძე — კომერსანტი.
10. მოსეშვილი ბართლომე პავლეს ძე — მრეწველი, ქუთაისის ვაჭართა ამამასახლისი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
11. ბარაბაძე ნესტორ სერგოს ძე — კომერსანტი.
12. ელიგულაშვილი არონ იაკობის ძე — კომერსანტი.
13. ჯაფარიძე ალექსანდრე რომანოზის ძე პედაგოგი, ქალაქის სასურსათო კომ. თავმჯდომარე.
14. დორთქიფანიძე ნიკოლოზ მერაბის ძე — ლიტერატორი
15. მარგველაშვილი ტიტე თადეოზის ძე — ფილოსოფიის დოქტორი, პუბლიცისტი.
16. თორაძე ალექსანდრე დავითის ძე — პედაგოგი, პუბლიცისტი.
17. ჩარკვიანი აბესალომ სიმონის ძე — ექიმი.
18. ყიფიანი სამსონ გიორგის ძე — პედაგოგი, პუბლიცისტი, საეპარქიო სასულიერო აღმასრ. კომიტეტის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19. კოკოჩაშვილი შალვა ვასილის ძე — ექიმი.
20. ყაუხჩიშვილი მარიამ იოსების ასული — ქალთა კერძო გიმნაზიის უფროსი.
21. დორთქიფანიძე სიმონ ნიკოლოზის ძე — ექიმი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
22. ბახტაძე სერგო ლუკას ძე — იურისკონსულტი სახელმწიფო ქონებათა სამმართველოსი, საურთიერთო ნდობის საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარე, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
23. ჭავჭანიძე მიხეილ ივანეს ძე — კომერსანტი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24. ცინცაძე იაკობ თომას ძე — პედაგოგი, იურისტი, ბელეტრისტი.
25. ოცხელი იოსებ ივანეს ძე — ქართული გიმნაზიის დირექტორი, ქუთაისის საგუბერნ. სამოსწავლო კომისარიატის წევრი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
26. ფაღავანდიშვილი ვასილ ივანეს ძე — აგრონომი.
27. რაზმაძე ნიკოლოზ კირილეს ძე — მომრიგებელი მოსამართლე.
28. გარსევანიშვილი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე — პედაგოგი. სახალხო უნივერსიტეტის თავმჯდომარე, მწერალი.
29. ჯორჯიკია სპირიდონ ბესარიონის ძე — პედაგოგი, ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
30. ჭოლოშვილი გიორგი სიკოს ძე — ხელოსანი.
31. ყიფიანი დავით ლუარსაბის ძე — ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი.
32. მთავრიშვილი თომა აბრამის ძე — პედაგოგი კომერსანტი.
33. ექსანოვი ფრანცი გრიგოლის ძე — კომერსანტი.
34. ხაბურზანია ანტონ სტეფანეს ძე — უფროსი ნოტარიუსი.
35. ნიჟარაძე ალექსანდრე სიმონას ძე — პედაგოგი.
36. დოდობერიძე დავით სიმონის ძე — დაზღვევ საზოგადოების „რუსეთის“ ინსპექტორი.
37. ალავიძე ალექსანდრე თომას ძე — მიწის მზომელი.
38. გიორგობიანი ვლასი დავითის ძე — წვრილი კრედიტის ინსპექტორი.
39. დორთქიფანიძე მიხეილ ლევანის ძე — ექიმი.
40. მაჭავარიანი თომა სამსონის ძე — კერძო ვექილი.
41. ოყრეშიძე დომენტი თომას ძე — პედაგოგი, მწერალი.
42. ჩარექოვი იაკობ იოსების ძე — ექიმი.
43. არსენიშვილი იერონიმ მიხეილის ძე — სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი.
44. პატარიძე პორფილე ივანეს ძე — ხელოსანი
45. ხანანაშვილი იოსებ სოლომონის ძე — ჟურნალისტი.
46. მესხი ისაკ ალმასხანის ძე — ხელოსანი.
47. წერეთელი ვლადიმერ ჯიბოს ძე — მრეწველი.
48. გაბაშვილი იასონ ბესარიონის ძე — პედაგოგი.
49. მამალაძე ტარასი დავითის ძე — პედაგოგი.

---

## საერობო-სამკურნალო საქმე.

საგუბერნიო კომისარიატმა მიიღო დროებითი მთავრობის ცირკულიარი, რომელიც ამბობს, სამკურნალო საქმე სამოსამართლო-საპოლიციო ნაწილის გამოკლებით უნდა ჩამოერთვას ეგრეთწოდებულ სამკურნალო მართველობათ („ვრაჩებნოე ოტდელენიე“) და გადაეცეს საერობო თვითმართველობათო.

მაგრამ გვაქვს თუ არა დღეს ჩვენ ერობა? რასაკვირველია, გვაქვს. სასოფლო და სამაზრო კომიტეტები და ბოლოს საგუბერნიო კომიტეტი — საერობო თვითმართველობათ წარმოადგენენ.

მკურნალთა პროფესიური კავშირის კრებაზე ზოგიერთმა წევრმა ის აზრი გამოთქვა, ვითომ ხსენებული კომიტეტები მხოლოდ ადმინისტრატიულ-რევოლუციური ორგანოები იყვნენ. მაგრამ ეს შეცდომაა. განა ამერიკის, ინგლისისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების თვითმართველობანი იმავე დროს ადმინისტრატიულ საქმეებსაც არ განაგებენ?!

მერე კიდევ: ეს ორგანოები ჯერ არც კი შენაწევრებულან. საკვირველი არ არის, რომ სოციალური შრომა ჯერ არც კი გაუნაწილებიათ რიგიანად. და, უეჭველია, წმინდა ადმინისტრატიული საქმეები მხოლოდ კომისარებსა და მილიციას მიენდობა, საერობო საქმეები კი — კომიტეტების ხელში გადავა. ივავე დროს კომიტეტებს ექნებათ ზედამხედველობა კომისარებისა და მილიციის მოქმედებაზედ.

ერთმა მკურნალმა ისიც კი სთქვა, ჩვენს ახლანდელ კომიტეტებს თავის დაბეგრვის უფლება არ აქვსო. რასაკვირველია, ესეც შეცთომაა. თუ კი სასოფლო საზოგადოების ყრილობას თვითმპყრობელობის დროსაც კი ჰქონდა უფლება შეეწერა საერობო გადასახადები თავის წევრთათვის, ნუ თუ რევოლუციამ წაართვა მათ ძირითადი უფლება თვითმართველობისა? პირიქით, რევოლუცია ხალხს უფლებას კი არ ართმევს, არამედ ჰმატებს!

დიაღ! სასოფლო ყრილობებს სრული უფლება აქვსთ თავის დაბეგრვისა.

დასასრულ, სასურველია, რომ თვითეულმა მაზრამ საერობო გადასახადებისაგან შედგენილი თანხა თავის სამაზრო ხაზინაში შეინახოს, რომ მიმდინარე საერობო საჭიროებათა კმასაყოფელად დაუბრკოლებლად გამოიტანოს ხოლმე.

მაშასადამე, როგორც სწავლის, გზების, გადასახადების გაწერის, მეურნეობისა და სხ. საქმეები, აგრეთვე საერობო მკურნალობისა — ხსენებული კომიტეტების ხელში უნდა გადავიდეს, რაც შეიძლება მალე!

**ვასილ წერეთელი.**

---

## პ რ ე ს ა.

### ავტოკეფალიის კითხვა.

უწ. სინოდი ვერ შერიგებოდა თავისი უფროსი დის, საქართველოს ეკლესიის, თავისუფლებას, და გადასწყვიტა საქართველოს ეკლესიის თავი საქართველოს დედა ქალაქის, თბილისს, მოეშორებია და მცხეთაში დაებინავებია „იხ. ცერკოვ. ობჩ. ვესტ. № 10“ და ყოფილი ექსარხოსი საქართველოს თუმცა შეცვლილი სარჩულით, თბილისში დაებძანებია.

ასეთი უსამართლობის გამო აი, რას წერს ბ. გ. ა. მოროზოვი. „ვოზროჟდენიის“ 94-ში.

„თუ ეს (ზემორე თქმული) მართალია, რაშიაც მე, რომელიც დიდი ხანია ვცხოვრობ კავკასიაში პროტესტს ვაცხადებ შემდეგის მოსაზრებით: ჩვენმა ძმებმა ქართველებმა ჩვენზე ადრე მოაწყვეს თავის ეკლესია კანონიურ საფუძველზე და რევოლიუციური გზით გამოაცხადეს მისი ავტოკეფალობა, რაც უნდა მიელო მხედველობაში პეტროგრადის სინოდს, რომელიც ამ საგნის შესა-

ხებ მოხსენება მოუმზადა სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას, რომლის კომპეტენციას შეადგენს დადასტურება საქართველოს ეკლესიის თავისუფლებისა და ორ ნათესავ ეკლესიათა შორის განწყობილების დამყარება.

თავის თავათ ცხადია, რომ არამც თუ არამედ თვით სრულიად რუსეთის საეკლესიო კრებას არ უნდა ეჩვენებია, თუ სად ეცხოვრა საქართველოს კათალიკოსს.

როგორც მეგობარი ქართველების, მცოდნე მათი ჩემს თავს მოვალეთ ვრაცხ ქრისტიანული და მოქალაქობრივის სინიდისისა წინაშე საჯაროთ განვაცხადო შემდეგი.

თუ ქართველები ასი წლის განმავლობაში ითმენდენ ექსარხოსებას, რომლებშიაც, სხვა ხომ არაფერი ვთქვათ არც ენა იცოდენ მათი არც ქვეყანა, რატომ არ შეგვიძლია ჩვენ რუსებს რომლებიც აქ ზოგი სტუმარი ვართ, ზოგი მუდმივი მცხოვრები ვიწამოთ სულიერ მამათ ერთ მორწმუნე კათალიკოსი, კარგათ მცოდნე როგორც რუსული, თუ ქართული ენისა და რა უფლება გვაქვს ჩვენ სხვის ცხოვრებაში ჩავერიოთ ჩვენ მხოლოთ უნდა ვიყოლიოთ ერთი რუსი ეპისკოპოსი ამიერ კავკასიისათვის, რომელიც უნდა აუცილებლივ ემორჩილებოდეს კათოლიკოსს.

თუ იგი ამას არ მოისურვებს, ორ ნათესავ ეკლესიათა შორის ჩამოვარდება შუღლი და უსიამოვნება, რასაც ვხედავთ ჩვენ დღეს ჩვენი ეპისკოპოსების გრიგოლის და პლატონის მხრიდან, რომლებიც თავის მოქმედებით აღიზიანებენ ქართველებს როგორც ცოდვილი, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანი მე ვწუხვარ ასეთი უტაქტობის გამო. პირ იქით აღტაცებაში მოვყავარ საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს ქრისტანულ მოთმინებას და თავ მდაბლობას, რომელიც სადღაც შორეულ ქუჩაზე უბრალო სახლში ცხოვრობს იმ დროს, როდესაც ქართველების მიერ აგებული საექსარხოსო სახლში მასზე უმცროს ჩინით ჩვენი **ეპისკოპოსი** გრიგოლი სარწმუნოების ხაქმეში არაა მოსატანი პარტიული და ეროვნული სიამაყე, და მე, თანახმათ ქრისტეს მცნებისა, ვაღიარებ ჩემ სულიერ მამათ კათალიკოსს, სანამ ვცხოვრობ ძმების ქართველების მიწაზე".

# ომი.

რუსეთისთვის საფრთხე თანდათან იზრდება. გალიციის მარცხი არ აკმარეს გერმანელებმა რუსის ლაშქარს. გერმანელთა კორპუსები უეცრივ ამოქმედდენ რუმინეთში და რამდენიმე დღის განმავლობაში დიდი ცვლილება მოახდინეს. ოკნას და ტეკუჩიოს მიდამოებში გერმანელები მძაფრ ომს აწარმოებენ. მათი მახლობელი წადილია მდინარე სერეტის ხაზის დაუფლება. რუმინეთის ჯარს თავბრუ დაესხა მოულოდნელ შემოტევით და მწარე განსაცდელშია.

ძნელია დანამდვილებით იმის თქმა, თუ რას აპირებენ გერმანელები. დღევანდელ მათ მოქმედებას, თუ გავყვებით და მათ მოძრაობას დემონსტრატიულ ხასიათს არ მივაწერეთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ გერმანელებს მიზნათ აქვთ დასახული რუმინეთით—ბესარაბიაში შემოჭრა, პოდოლისა და უკრაინის მნიშვნელოვან პუნქტების ხელში ჩაგდება. თუ ეს მოსაზრება მართალი გამოდგა, მაშინ ცხადია გერმანელებთან ერთად ოსმალონიც დაიწყებენ ფართე აქტიურ მოქმედებას და დაკარგულ ტერიტორიის უკან დაბრუნებას შეუდგებიან.

ჯიხ.

# საქალაქო არჩევნების გამო.

ჩემი შენ გითხარ და გული მოგიკალი' ნათქვამი რომ არის, ისე მოსდით ფედერალისტთა „სარევოლუციო“ პარტიის შუქურ ვარსკვლავებს, ვიღაც გ.-კე ს სახით „ჩვენს მეგობარში“ მოვლინებულთ.

საკმარისია ეროვნულ დემოკრატის აჩრდილიც კი მოევლინოს მათ, რომ მყ ისვე გული წაუვიდესთ. ეს ადვილი ასახსნელია. ჯერ იყო და შეაწუხეს სული და გული, ვითომ ქართველი ერის ინტერესების დამცველი მარტო ისინი იყვნენ. აქ მოსტყუვდნენ. ქართველმა ერმა მათ ზურგი უჩვენა. შემდეგ ჩხრიკეს და თავის საკლავი დანა თვითვე გამოსჩხრიკეს: ერთ რუსულ პარტიისგან შეითვისეს სოციალიზაცია და ძღვნად მიართვეს ქართველ გლეხს; ხოლო ქართველმა გლეხმა იუკადრისა შეუფერებელი ძღვენი და უკანვე მიუგდო ფედერალისტებს მათი სოციალიზაცია.

ამგვარად არც ნაციონალიზმი, არც სოციალიზმი მათი ქართველმა ერმა არ იწამა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. წყალწაღებული ხავსს ეკიდებოდაო. ფონს გასასვლელად დარჩათ ფედერალისტებს ლანძღვა-გინება, რომლის კომისრის გამგეთ გ.—კე უნდა იყოს დანიშნული.

„მეგობრის“ „პუბლიცისტი“ ეროვნულ-დემოკრატებს აბრალებს. „ხალხს ლამაზი სიტყვებით ატყუებთო“ და გუშინ თფილისში ლაზათიანად გაშავებული პარტიის წევრი გულ იკეთებს: „ტყუილია, ორიოდე ვაჭრის გარდა მათ ხმას არავინ მისცემს“-ო.

ამას მომავალი გვაჩვენებს, ყოველ შემთხვევაში წარსულში ჩახედვაც არ აწყენდათ ჩვენს „მძლეთა-მძლეებს“.

20 წლის არსებობით ყური გაგვიჭედეს ფედერალისტებმა. მაგრამ ოცი წლის განმავლობაშიც კი ვერ შეუძენიათ იმდენი წევრი, რომ ორზე ორი ხომ უკრაინელია! მეტი ხმოსანი გაეყვანათ თბილისის საქალაქო არჩევნებში. უკრაინელებთანაც შეჰკრეს ბლოკი თბილისში, მაგრამ მაინც არა ეშველათ რა. ეროვნულ დემოკრატებმა კი მხოლოდ 4 თვეა, რაც საორგანიზაციო მუშაობას მიჰყვეს ხელი და საკუთარის, **ქართულის ძალებით**, ვისმესთან შეუთანხმებლათ 4 ხმოსანი გაიყვანეს თფილისში. მაშ რაღაშია საქმე? რაღას ბრახა-ბრუხ-ით და კაკანობთ. დროა უშნო ლანძღვისა და ტრაბახის ნაცვლათ რამე გააკეთოთ ქართველი ერისათვის.

მეპრესე.

# საქართველოს კითხვა ჰუისმანი

ჯერ ისევ პარიზში ვიყავი, რომ გაზეთებში დაიბეჭდა განსაზღვრული შეკითხვანი სკანდინავიის სოციალისტურ ბიუროსი ინტერნაციონალის ყველა ფრაქციების მიმართ, საერთაშორისო სოციალისტურ კრების მოწვევის შესახებ.

ამ შეკითხვაში განსაზღრული იყო რომ ეროვნულ საკითხის გარჩევის დროს განხილული იქნება **სახელდობრ** მომავალი ბედი პოლონეთის, ფინლიანდიის, ლიტვის, უკრაინის, ელზას-ლორენის, ეგვიპტის, სომხების და სხ. ქართველებზე კი ერთი კრინტიც არ იყო დაძრული

ამიტომ გადავსწყვიტე შვეციაზე გავლის დროს მესარგებლა და რაიმენაირად მეცნობებინა სკანდინავიის ხელძღვანელ ბიუროსთვის საქართველოს საკითხის არსებობაც

რადგან იმ რუსთა ჯგუფი, რომელთანაც დაკავშირებული ვიყავი მოგზაურობაში, სულ სხვა გზით მიდიოდა და სტოკჰოლმს გვერდზე სტოვებდა, მე ნორვეგიის საზღვრიდანვე გავშორდი მათ და შვეციის სატახტო ქილაქისაკენ გავსწიე.

მისვლისთანავე მოვკრიფე საჭირო ცნობანი და გავეშურე სკანდინავიის ბიუროსკენ, რომელსაც განაგებს ინტერნაციონალში კარგათ ცნობილი ბელგიელი სოციალისტი ჰუისმანი.

მდივანმა აცნობა ჩემი ვინაობა, როგორც ქართველის და ორი წუთის შემდეგ უკვე თვით ჰუისმანმა მიმიწვია თავის ოთახში.

ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ დავიწყე:

— ძვირფასო მოქალაქე! როგორც უკვე მოგახსენეთ, მე გახლავართ ქართველი. მართალია ქართველებისაგან მე არაფერი განსაკუთრებული დავალება არა მაქვს, მაგრამ რის შესახებაც მინდა მოგელაპარაკოთ, საინტერესოდ მიმაჩნია ჩემი ქვეყნისათვის.

— ბრძანეთ! მე სიამოვნებით გისმენთ!

— როგორც მოგეხსენებათ, იმ შეკითხვაში, რომელნიც მიმართული იყო ინტერნაციონალის სხვა და სხვა ფრაქციათა მიმართ, ნაციონალურ საკითხთა განყოფილებაში აღნიშნული იყო, რომ განხილულ იქნება საკითხი **სახელდობრ** პოლონეთის, ლიტვის, სომხეთის და სხვა დაჩაგრულ ერთა. რომელთა სახელიც ჩამონუსხული იყო იქ. მხოლოდ ქართველები შეადგენენ იქ გამონაკლისს. რითი უნდა აიხსნას ეს?—ან იმითი რომ ქართველიაბა არ მიგაჩნიათ ცალკე ერად, ან იმითი, რომ ქართველობას არ აღიარებთ დაჩაგრულ ერად, ან კიდევ სრულიად არ იცნობდეთ საქართველოს, რაც ცოტა არ იყოს, დაუჯერებლად მიმაჩნია.

მე საკმაოდ ვიცნობ საქართველოს, მაგრამ საიდა დაასკვენით, რომ იმ კითხვებში საქართველო არ იყო ნახსენები?

მე წავიკითხე მხოლოდ ფრანგულ ბურჟუაზიულ გაზეთებში და სოციალისტურ „ჰუმანიტეში“, თუ უკანასკნელს კიდევ უწოდებთ სოციალისტურს და საქართველოსი ხსენებაც არსად იყო.

— ფრანგული გაზეთები სტყუიან.

— მაშ, საქართველოც იყო ნახსენები? ბოდიშს ვიხდი შეწუხებაზე და ვიდრე გაგშორდებოდეთ, ძალიან დამავალებდით, თუ ორიგინალს მიჩვენებდით და თუ ერთ ცალს დამითმობთ, დიდად მადლობელი ვიქნები კიდევ.

— არა... იქ საქართველო არაა ნახსენები, მაგრამ სულ ერთია: რამდენიმე ჩამოთვლილ ერის შემდეგ ნათქვამია „და სხვა და სხვა“. და აქ საქართველოც იგულისხმება, რასაკვირველია.

— აჰ, ეს კი აღარ მესმის კარგად, უკაცრავად! იქ ნათქვამია „**სახელდობრ**“ და შემდეგ ჩამოთვლილია თითქმის ყველა ასე თუ ისე მნიშვნელოვან დაჩაგრულ ერის სახელი. თუ კი საჭიროთ სცანით ლიტვის, სომხეთის, სირიის და სხვათა დასახელება, საქართველო რაღა მოუნათლავად მიგაჩნიათ, რომ მას თავის სახელის ნაცვლად რაღაცა „სხვა და სხვაში“ ათავსებთ. ან ღმერთმა უწყის, იმ „სხვა და სხვაში“ კი მაინც იგულისხმება?

— შეუძლებელია, რომ ყველა ერი ჩამოგვენუსხა იქ, მაშინ მარტო რუსეთისთვის ერთი ასი სტრიქონი მაინც დაგვჭირდებოდა. თუნდა კავკასიაში, მაგალითად, როგორც ვიცი, მრავალი ერის სცხოვრობს.

— ერი, როგორც ერი, მხოლოდ ორია, ქართველი და სომეხი, ტომი კი მრავალია.

— მერე მაგას როგორ საზღვრავთ, ვის დაარქვათ ერი და ვის ტომი?

— ერის განსაზღვრად მე მგონი საჭიროა ერთგვარი რიცხვოვნება მიწა-წყალი, ჩამოყალიბებული ენა, ისტორია, რომელიც მოწმობს მის განსაზღვრულ უფლებას, თავისებური და ძლიერი ზნე-ჩვეულებანი და უფრო კი შემეცნება ამა თუ იმ ერისა, რომ იგი წარმოადგენს განსაკუთრებულ და განმეორებულ ერთეულს მსოფლიო ოჯახში და თავის პირობების დასაცავად და განსავითარებლად საჭიროდ სცნობს განსაკუთრებულ უფლებათ და პირობათ. ამისდა მიხედვით საქართველოს გვერდის ახვევა იმ დროს, როდესაც ირჩევა საკითხი დაჩაგრულ ერთა უფლების აღდგენაზე, დიდი შეცდომაა.

— უკაცრავად, ნუ გგონიათ, რომ საქართველო სრულიად მივიწყებულია.

აქ ჰუისმანმა მოუწოდა მდივანს და სთხოვა მოეტანა მოხსენება საქართველოს შესახებ. მდივანმა შემოიტანა ოთხ-ხუთ ფურცლიანი რემინგტონზე ფრანგულად დაბეჭდილი რვეული, შედგენილი და ხელმოწერილი წ. და მ—სა.

ჰუისმანმა განაგრძო:

— აი, ხომ ხედავთ, მთელი მოხსენება საქართველოზე. მხოლოდ საქმე იმაშია, რომ საქართველოს საკითხს ჩვენც ცალკე ადგილს ვერ დავუთმობთ ინტერნაციონალში. ჩვენთვის არსებობს მხოლოდ რუსის სექცია და საქართველოც შედის ამ სექციაში. ამიტომ თქვენთვის საჭიროა მიმართოთ რუსის სექციის წარმომადგენელს და არა ინტერნაციონალს. უპირველეს ყოვლისა თქვენ იმათთან უნდა მორიგდეთ. ჩვენ ვაძლევთ ამა თუ იმ სექციას განსაზღვრულ ხმათა რიცხვს, მაგალითად, რუსის სექციას – ოცს. ეს დამოკიდებულია ერის მრავალრიცხოვანობაზე და სოციალისტურ პარტიების როლზე, რომელსაც თამაშობენ შინაურ თუ გარეშე ცხოვრებაში. ერთმანეთშორის მორიგებით რუსებს შეუძლიანთ, მაგალითად, მოგცენ ერთი, ორი, სამი, ან ოთხი ხმა და აგრე იქნებით წარმოდგენილი ინტერნაციონალში. წ—ს და მ—საც სწორედ ეგ ვურჩიე, რომ წასულიყვნენ და მოელაპარაკებოდნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენელს როზანოვს და შედეგი ეცნობებინათ. აქამდის ველოდებოდი მათ პასუხს და აი, როგორც ხედავთ, არაფერი არა სჩანს.

— მე დარწმუნებული ვარ, რომ იგინი როზანოვთან არ წავიდოდენ.

— ვითომ როგორ?

— სრულიადაც არა ჰსურთ საქართველოს საკითხი დაუმქვემდებარონ რუსეთის საკითხს ისეთ დაწესებულებებსა და კრებებზედ, როგორიცაა სოციალისტური ინტერნაციონალური ბიურო და კრება. რადგან ინტერნაციონალის მსჯელობა და გადაწყვეტილება დამყარებულ უნდა იყოს სწორ-მიუდგომელ სამართლიანობასა და უფლებაზედ და არა ამა თუ იმ სახელმწიფოს დაპყრობითი პოლიტიკის შედეგზედ. (ს. ს.)

(დასასრული ხვალ)

ლევ. მეტრეველი.

# რევოლუციის ამბები

ჰ. დ. ს.

## დეპეშები

### გენ. ნოსკოვის მკვლელი ჯარისკაცი მონახოვი

**პეტროგრადი.** აგვისტოს 1. გენ. ნოსკოვის მკვლელი ჯარისკაცი მონახოვი № პოლკმა არ გამოაჩინა. მკვლელობის მეორე დღეს მონახოვმა ერთი თვით თავი გაინთავისუფლა. მისი უკან დაბრუნებისას პოლკის სულიერი განწყობილება იმდენად შეიცვალა, რომ გასცეს მკვლელი, რომელსაც სამხედრო-სარევოლუციო სასამართლოში აძლევენ. კატორღის მისჯას უქადიან, ვინაიდან მკვლელობა მან სიკვდილით დასჯის აღდგენამდე ჩაიდინა. მკვლელობის მიზეზი არ გამოამჟღავნა.

### მოსკოვის სახელმწიფოებრივი თათბირი.

**პეტროგრადი.** ივლისის 31. დროებითმა მთავრობამ გადასწყვიტა მოიწვიოს მოსკოვში 12—14 აგვისტოსტვის სახელმწიფოებრივი თათბირი, რათა განამტკიცოს ერთობა მთავრობასა და რუსეთის ყველა ორგანიზაციებს შორის. თათბირზე მოწვეულნი იქნებიან წარმომადგენელნი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, დემოკრატიულ, ეროვნულ, სამრეწველო-სავაჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციათა, დემოკრატიის ხელმძღვანელ ორგანოთა, ჯართა უმაღლესი წარმომადგენელნი, სამეცნიერო დაწესებულებათა, უნივერსიტეტებისა და სახელმწიფო სათათბიროს ოთხივე არჩევის წევრნი. თათბირი გაიმართება ნიკოლოზის სასახლეში, კრემლში თათბირი გაიხსნება მინისტრთა თავმჯდომარის დეკლარაციით, რომელიც გააცნობს წევრებს რუსეთის დღევანდელ მდგომარეობას და ახალი მთავრობის პროგრამას. მას მოჰყვება სიტყვები ორატორთა შესახებ სახელმწიფო მმართველობისა და მეურნეობისა. თათბირის დავალებული აქვს ფოსტა-ტელეგრაფისა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრებს. მოელიან 1000 დამსწრეს. შეკითხვა შეიძლება დროებითი მთავრობის კანცელარიაში.

### სწავლის დაწყების გადადება.

**პეტროგრადი** ივლისის 31 სახალხო განათლების სამინისტროსთან შემდგარმა სათათბირომ შესაძლებლად სცნო გადაიდოს სწავლის დაწყება ყველა სასწავლებლებში 1 ოქტომბრამდე. საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად დადგენილება წარდგენილია დროებით მთავრობასთან.

### სამშობლოს დასაცველად

**პეტროგრადი.** ივლისის 31. დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის თაოსნობით მარიამობისთვის 7-დე მოწვეულ იქმნება მოსკოვისა და პეტროგრადის ყველა დემოკრატიულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა ბჭობა. ბჭობა შეიმუშავებს სამშობლოს დასაცველად მისაღებ უკანასკნელ ღონისძიებებს.

### იხსენით პეტროგრადი

**პეტროგრადი.** აგვისტოს 1. სამხედრო სამინისტროს, პარტიის ორგანიზაციებმა ჩრდილო ფრონტისა და კომისარებმა მიმართეს მე-12 არმიას მოწოდებით—„იხსენით პეტროგრადი“, რომელშიაც ნათქვამია: „დრო აღარ არის მოფიქრებისა, გერმანელთა გამარჯვება აქ იქნება მეხის დატეხვა თავისუფლებისა და რევოლუციის ბედისა—პეტროგრადისათვის, პეტროგრადთან დაიღუპება ყველაფერი. ნუღარ მოვუცდით სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის სირცხვილსა და საშინელებას. გადევნეთ თქვენ შორიდან დამნაშავენი, სამართალში მიეცით ისინი, ვინც სირცხვილით ჰმოსავს სარევოლუციო ჯარისკაცებს. რუსეთის ძენო! შეერდით. იხსენით რუსეთი!

### გაფიცვა ფინლიანდიაში სანოვაგის გადამალვა

**ჰელსინგფორსი.** ივლისის 31. ექსპედიციისა და მიწადმოქმედების უფროსი, სენატორი ბუილიოკი, რომელიც სათავეში უდგა სრულიად ფინლიანდიის სასურსათო საქმეს, სამსახურიდან გადადგა, როდესაც ჰელსინგფორსში და აბოში ვალიოის ამხანაგობის საწყობებში მიმალული 10.000 კილოგრამი ერბო და ყველი აღმოაჩინეს. ამან გამოიწვია მთელი რიგი დემონსტრაციებისა სენატის წინაარმდეგ, რომელმაც დაუშვა ასეთი გადამალვა სანოვაგისა. ბუილიოკის გადადგომის ამბავი ხალხმა აღტაცებით მიიღო მან განაცხადა რომ განმარტებას მისცემს მხოლოდ სეიმის სოც.-დემოკრატიულ ფრაქციას.

### გაფიცვა ჰელსინგფორსში

**ჰელსინგფორსი.** აგვისტოს 1. ქალაქში დაიწყო საერთო გაფიცვა. ტრამვაის მოძრაობა შეჩერებულია. გაზეთები არ გამოსულა. ღამე საქალაქო გვარდიის ძლიერმა რაზმებმა [illegible] ები და [illegible] შეეწყვიტათ მუშაობა. ბოძებზე გაკრულია პროკლამაცია, ხელმოწერილი გაფიცვის კომიტეტისაგან, რომ გაფიცვა ხდება ჰელსინგფორსის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის დადგენილებით, როგორც პროტესტი სასურსათო პოლიტიკისა, რომელიც საზარალოა მცხოვრებთათვის. გაფიცვა არ შეეხება რკინის გზებს, სურსათით სავაჭროები და სამხედრო სამუშაოებს. გაფიცულები მოითხოვენ სენატის მთელი შემადგენლობის სამსახურიდან გადადგომას და ხელახლად არჩევას ქალამის წარმომადგენლებისას იმ პირობით, რომ საქალაქო გამგეობაში მუშების შესაბამ რიცხვს დაეთმოს ადგილი.

### სახელმწიფო ბანკის მდგომარეობა

**პეტროგრადი.** ივლისის 30. ფინანსების მინისტრს სახელმწიფო ბანკმა ივლისის 23 სთვის ბანკის ანგარიშები წარუდგინა აქტივი—სულ 18.788.295,716 მანეთი და 50 კაპ, აქედან—ოქროს ფული და ასიგნაციები—1.292.884,017 მან.-59 კ., ვერცხლისა და სპილენძის 124.-034032 მან., პასივის განყოფილებაში ნაჩვენებია გამოშვებული საკრედიტო ბილეთები 13.664441.875 მანეთისა. ამის გარდა კასაში ქაღალდის ფული—118.568-125 მან.

### კომისარების შეთანხმებული მოქმედება

**პეტროგრადი,** ივლისის 21. სამხედრო მინისტრმა განმარტა, რომ ჯარის ფრონტის კომისარების მოქმედება უთუოდ უნდა ეთანხმებოდეს მთავარ-სარდლის კომისარისას, დაბალ კომისარების ყოველი განკარგულება პრინციპიალ საკითხებში აგრეთვე უნდა სრულდებოდეს ამავე კომისარის განმარტებების კვალად. ჩრდილო ფრონტის მოწყალების დების კრება ცხარე პროტესტს აცხადებს იმ დების წინააღმდეგ, რომლებიც ერთობლივ სტოვებენ თავიანთ ადგილს. კრება მოუწოდებს მათ კერძო ინტერესი შესწირონ მოვალეობას.

### მანეთიანის ფასის აწევა

**ჰელსინგფორსი.** ივლისის 31. ფინლიანდიის ბანკმა ასწია მანეთიანის ფასი 135 დან 140 მარკამდის ასზე.

### მთავრობის დადგენილება მიწის საკითხზე.

**პეტროგრადი.** ივლისის 27. (დაგვიანებულია). დროებითმა მთავრობამ დაადგინა, სანამ დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდეს მიწის საკითხს, შეჩერებულ იქნას საქმის წარმოება, შედგენა, დამტკიცება და გაცემა შემოწმებულ აქტებისა: ა) საეზოვო ნაჭრებზე იმ საზოგადოებებში სადაც არა ყოფილა საერთო გადაყოფვა; ბ) საეზოვო ნაჭრებზე იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს ძირეული მფლობელობა ეზოებისა; გ) ნაფუძვრებზე იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს საზოგადო მიწის მფლობელობა; დ) ნაჭრებზე რომლებიც გამოსყიდულია ვადაზე ადრე 165 მუხლის ძალით გამოსყიდვის დებულებისა, გამოცემა 1876 წ. და 113 და 114 მუხლი. ამავე დებულებისა, გამოც. 1912 წ. 2) დამტკიცება საკუთრებად თვითეულისთვის თუ საერთოდ ოჯახის წევრებისთვის საზიარო სანადელო მიწების ნაჭრებისა, აგრეთვე მონაწილეობა უფლებისა იმ მიწებზე, რომლებიც გაიყოფება ან არ გაიყოფება საგანგებო წესით. 3) დამტკიცება გადასახლებულთა მოთხოვნით მათ საკუთრებად საზიარო სანადელო მიწების ნაჭრებისა იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გადმოსახლდებიან, აგრეთვე გადაცემა უფლებისა დაიმტკიცონ ეს ნაჭრები. 4) მიწის ყოველ საკითხის შესახებ, რომელსაც შეეხება დებულება 29 ივლისის 1911 წლისა და 12—53 და 55 მუხლებს სოფელთა მდგომარეობის დებულებისა. ამ დებულებიდამ არ უქმდება წარმოება იმ საქმეთა, რომლებიც ექვემდებარება 11 დეპარტამენტს სენატისას და წარედგინება საგუბერნიო გამგეობისა ანუ შინა საქმეთა სამინისტროსაგან 120—122 მუხ. ძალით იმ დებულებისა, რომელიც ეხება გლეხებს და საჩივრებს ადგილობრივ გლეხთა თუ მიწის მომწყობ დაწესებულებათა გადაწყვეტილებაზე. თუ აღნიშნული საქმეები, სენატის მიერ გარჩევის შემდეგ, მოით-

ხოვენ კვლავ წარმოებას საგლეხო ----- მიწის მომწყობ დაწესებულებაში, ასეთების წარმოებაც (არ?) უქმდება. გაუქმდეს: 1) საგუბერნიო და სამაზრო მიწის მომწყობი კომისიები; 2) თანამდებობანი უცილობელ წევრთა. მათ თანაშემწეთა და მდივნებისა, აგრეთვე გამგეთა მიწის მომწყ-ბ მუშაობათა და დატოვებულ იქმნან შტატს გარეთ ესენი, თუ ვინიცობაა არ მიიღეს სხვა თანამდებობანი. ნება ეძლევა საგუბერნიო კომიტეტებს წარადგინონ მიწის მთავარ კომიტეტში მოხსენება, რომ საქმე, დაწყობილი მიწის მოწყობის დებულების ძალით, გათავებულია და ხალხი უკვე სარგებლობს მიწით. დადგენილება ესე მოყვანილ იქმნას არსებაში სენატის მიერ განცხადებამდე.

**პირნახულის მოკრება.**

**ჟიტომირი.** ივლისის 31. პურის მკა მთელს ვოლინში გაცხარებულია. ფრონტზე ამბების გამო გამგეობამ მიიღო სათანადო ზომები საზამთრო პურის თავის დროზე დაბინავებისათვის.

**მიტინგი ჯარში.**

**გლაზოვი.** ივლისის 29. ქვეითა პოლკის მიტინგზე 27 მკათათვეს ირკვეოდა საკითხი – რა წესით უნდა წავიდეს პოლკი პოზიციებზე. დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, პრაპორშჩიკი შულცი არწმუნებდა ჯარს, მოიცადონ სანამ შეივსებოდეს პოლკი. მაგრამ ჯარმა მოითხოვა მისი დაპატიმრება და გადასწყვიტეს ნაწილ-ნაწილად წასვლა პოზიციებზე.

## ეროვნული კითხვა.

**პოლონელთა პოლიტიკურ ყრილობამ რადა აირჩია.**

**პეტროგრადი.** ივლისის 31. მოსკოვში პოლონელთა პოლიტიკური ყრილობა შესდგა. იგი დემოკრატიამ და პოლონელთა ნაციონალურ კომიტეტმა შეადგინა. ყრილობაში არ მონაწილეობდნენ: პოლონელთა უპარტიო ინტელიგენცია, მრავალი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონელთა სხვადასხვა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგალითად, არ დაესწრნენ ომში დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენლები, მოსკოვის პოლონელების კომიტეტის და აგრეთვე პოლონელთა რომაელ-კათოლიკების სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენლები. საგანგებო მოწოდებით უარი განაცხადეს მონაწილეობაზე: პოლონელთა სახალხო მუშების კავშირმა, უკრაინის პოლონელთა კავშირის ცენტრალ კომიტეტმა, დემოკრატიულ კლუბებმა, პოლონელთა სოციალისტურ ფრაქციამ, (მშრომელთა რევოლიუციონური ფრაქცია) გლეხთა საბჭომ. პოლონეთის დამოუკიდებლობის მსურველ ჯგუფმა. პოლონელთა სოციალისტურ პარტიამ, (მემარცხენე) პოლონეთის სახელმწიფოს და ლიტვას სოციალ-დემოკრატიამ.

ყრილობამ ისარგებლა ხალხის წარმომადგენლობის უფლებით და რადა აირჩია. ყრილობის რეზოლიუციამ, რომელიც დროებით მთავრობის აქტთან პოლონელთა განწყობილებას ეჭვში სტოვებდა. და სჯა-ბაასის დროს მთავრობის დამოკიდებულებას ნათლად ხატავდა, პოლონელთა ფართე წრეებში დიდი აღელვება გამოიწვია.

**ჩეხეთი რევოლუციის წინ.**

**ციურიხი.** ივლისის 29. პრაგიდან იტყობინებიან: გაზეთები იწერებიან დიდ აჯანყებას ჩეხიაში. ყველგან გაისმის ძახილი: როდის გამოვა სარევოლიუციო პროლეტარიატი სამოქმედოთ. დემონსტრაციები გამოწვეულია ხალხის უკანასკნელ განწირულებისაგან. მთავრობამ მთელი ჩეხია აქცია სასაფლაოდ. ასეთივე მოძრაობას ამბობენ მორავიაში.

**ბაგდან ხმელნიცკის სახელობის პოლკი.**

**კიევი.** ივლისის 30. სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა კიევში დარჩენილ ბაგდან ხმელნიცკის სახელობის მე-3 და მე 4, ეშელონების პოლკის ფრონტზე გასვლა ბრძანა. რადის მთავარ სეკრეტარიატმა იმსჯელა მდგომარეობაზე და დაადგინა, რომ პოლკი მოვალეა აასრულოს სამხედრო ბრძანება და ფრონტზე გავიდეს.

**ბახმეტევის განცხადება.**

**ნიუ-იორკი.** ივლისის 30. ნიუ-იორკში ჩასულ ელჩების მოთავე ბახმეტევმა კოსტიუშკოს ძეგლი გვირგვინით შეამკო. პოლონელთა კომიტეტის წევრებსა და პოლონელ ემიგრანტებს მისალმებით სიტყვაში უთხრა, რომ რუსეთის რევოლიუცია პოლონეთს ახალ, თავისუფალს და დამოუკიდებელ ცხოვრებას მოუპოვებსო.

**რუსეთ-უკრაინულ ჯარების შეტაკება.**

**კიევი.** ივლისის 31. პოდოლის კირასირთა ლეიბ-გვარდიის პოლკის კომიტეტი აცხადებს, რომ გამოქვეყნებული ამბების შესახებ ბოლდან ხმელნიცკის პოლკისა სწორი არ არის, ამიტომ უზრუნველსაყოფად პოლკის კეთილი სახელისა, საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ პოლკი მუდამ იდგა და იდგება წეს-რიგისა და კანონიერების ნიადაგზე და ყოველი საშუალებით იბრძოლებს უკანონობისა და უწესოების წინააღმდეგ, ვისგანაც არ უნდა წარმოდგებოდეს იგინი და ვერც კამათს დავიწყებთ რადას წევრებთან, რომლებიც ავრცელებენ საგანგებოდ შეთხზულ ბრალდებებს ჩვენ შესახებ, რადგანაც მიგვაჩნია ეს თვის ღირსების დამცირებდ. ჩვენს პოლკში ირიცხება 25 პროცენტი მალოროსიის მკვიდრთა, რომლებიც მარად პატიოსნად და შეგნებულად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას და ამიტომ პოლკს არ შეუძლიან ჰქონდეს ეროვნული შუღლი მათთან. არც რაიმე პროპაგანდა ყოფილა როდისმე პოლკში უკრაინელთა წინააღმდეგ.

## მსოფლიო ომი.

**ჰ. დ. ს.**

**დ ე პ ე შ ი.**

**ოსმალთა ნავების განადგურება.**

**სევასტოპოლი.** ივლისის 31. ანატოლიის სანაპიროებთან რუსის სამხედრო გემებმა ნავებ-თ მეზღვაურები ჩაუშვეს რომ ბუხტაში თავშეფარებული ოსმალეთის იალქნიანი ნავები დაეღუპათ.

ამის შესრულების შემდეგ მეზღვაურები უკან ბრუნდებოდნენ, რომ ხმელეთიდან მათ სროლა აუტეხეს, რომლის დროსაც მოკლეს გარდემარინი და მენაღმე.

**რუსების საჰაერო რაზმი დუნაიზე.**

**სევასტოპოლი.** ივლისის 31. მდ. დუნაის სანაპიროებზე რუსების მფრინავებმა თავდასხმა მოახდინეს; მტერი დაიზარალეს და სანაპიროებიდან უკან დასწიეს.

**შესავსებ როტების სისუსტე.**

**მომქმედი არმია.** ივლისის 31. ბოლო დროს შესავსებათ ჩამოსული როტები თითქმის უკლებლივ ჩამოდის, თუ სახეში არ მივიღებთ თითო ოროლებს, რომელთაც მოვალეობის შესრულება არ სურთ.

უმეტეს შემთხვევაში ეს როტები ნაკლებად არიან მომზადებულნი, რაც მარქაფა პოლკებში მცირე ვარჯიშობით აიხსნება.

**პეტროგრადი.** ივლისის 30. უმაღლეს მთავარ სარდალმა ბრძანება გამოსცა, რომ ვენერიულ ავადმყოფობამ ჯარში თავი იჩინა და დიდ საფრთხეს გვიმზადებსო. ლაშქრის საექიმო ძალებმა უკვე მიმართეს რაციონალურ საშუალებებს საბრძოლველად. მოქმედების გეგმა უკვე შედგენილია, მხოლოდ მას ცხოვრებაში გატარება ესაჭიროება და ამიტომ მოუწოდებენ ჯარის ყველა უფროსებს, რომ ყველა ნაჩვენები ღონის ძიება მიღებული და შესრულებული იქნეს.

**პეტროგრადის საფრთხე.**

**მომქმედი ლაშქარი.** ივლისის 31. ჩრდილოეთის ფრონტის ერთი კორპუსის უფროსმა პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან ბაასის დროს სთქვა, რომ ჩრდილოეთის ფრონტის გარღვევა დიდი საფრთხე იქნება პეტროგრადისთვის, მაგრამ ჯერჯერობით პეტროგრადის ევაკუაციის საკითხი ნაადრევია. ევაკუაციაზე ლაპარაკი ფრონტზე ტყუილ შიშს გამოიწვევს. ეხლა კი ოფიცერთა და ჯარისკაცების დამოკიდებულება თან და თან უმჯობესდება. მიტინგების აკრძალვაც ჯარისკაცებმა საჭირო ზომად აღიარეს.

**უარი ბრძოლაზე.**

**მომქმედი ლაშქარი.** ივლისის 29. იაკობშტატთან ბოლშევიკების აგიტაციის გამო ორმა პოლკმა შეტევაზე და პოზიციების დაჭერაზე უარი განაცხადა. ყაზახების დივიზიისა და ჯავშნიან ავტომობილების შიშმა მალე თავიანთი უარი ორსავე პოლკს გადაათქმევინა.

**სად. მოლოდეჩნოდან ჰოსპიტლები გადმოაქვთ.**

**მომქმედი ლაშქარი.** ივლისის 31. სადგურ მოლოდეჩნოს მტრის მფრინავები არ ასვენებენ. დაჭრილ-დაავადმყოფებულთა გამოსაგზავნად და ჰოსპიტალების გადმოსატანად ზომებია მიღებული.

**ავადმყოფობა რუსის მოქმედ ჯარში.**

**მინსკი.** ივლისის 29. შესდგა ფრონტის სანიტართა ყრილობა იმის გამო, რომ ერთობ ბევრი სალდათები უარს ამბობენ აიცრან ტიფი და ხოლერა.

გამორკვეულია, რომ ავადმყოფობა ფართო ხასიათს ღებულობს და თუ აცრა არ მოხდა მრავალს იმსხვერპლებს.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** ივლისის 31. ოფიციალი. სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ასპარეზი.**

სიპოტის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა. ოკნაგავესჩის რაიონში ბრძოლა კვლავ სწარმოებს. მდინარე სლონიკუს ღელეში მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ხელთ ვიგდეთ 600 ტვე და 4 ტყვიისმფრქვეველი. ფოკშანის მიმართულებით გუშინ, ივლისის 30-ს, გერმანელებს ფოკშან-აჟუდის რკინის გზის დასავლეთისკენ კვლავ იერიშები მოჰქონდათ. ჩვენები ვაჟკაცურად ებრძოდნენ ალაგ ალაგ კონტრ იერიშებზედაც გადადიოდნენ. მე 412-ე პოლკმა მარჯვე იერიშით 500 ავსტრიელი წამოიყვანა ტყვედ. საღამოთი ჩვენები მტრის შემოტევის გამო სტრასკი-დონეცის ხაზისკენ წამოვიდნენ. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენი თვითმფრინავები მტრის ზურგის სხვადასხვა პუნქტებს ყუმბარებს უშენდნენ.

**რუმინეთის ფრონტზე.**

**იასსა.** ივლისის 31. 29 და 30 ივლისის რუმინეთის ფრონტზე მტერი აწარმოებდა სასტიკ იერიშებს მდინარე ლეოტოსისა და პუტნის ველებში, რომ დაიპყრას ოკნა, მაგრამ მოგერებულ იქნენ მტრისათვის დიდი ზარალით. წამოყვანილია 2.000 ტყვე. ბრაილოვის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა მხროლელებმა აიღეს ბულხანულის ჰალაკი, 4 ზარბაზანი, 3 ტყვიის მტყორცნელი და წამოიყვანეს 500 მეტი ტყვე.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ივლისის 31. ოფიციალი. სერნისა და კრაონის შუა მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. აილის სამხრეთით გერმანელებმა ჩვენს თხრილებზე მოიტანეს იერიშები. ჩვენ მოვიგერიეთ და დიდი ზარალიც მივაყენეთ. რეიმსის აღმოსავლეთით, შამპანში კასკისა და ტეტონის რაიონებში და აგრეთვე მაასის მარცხენა მხარეზე საარტილერიო ბრძოლა სწარმოებდა. კარიერის ტყისა და ბიზანვოს მახლობლად მტრის მოულოდნელი თავდასხმა მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე ღირს შესანიშნავი არაფერი არა მომხდარა რა.

**მფრინავთა მოქმედება.**

ივლისის 3-ს ჩამოვაგდეთ გერმანელების ორი ჰაეროპლანი, დავაზიანეთ 13.

**იტალეთის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** ივლისის 31. ოფიციალი. გორიცის და დესე-ფაიტის აღმოსავლეთით დიდი საარტილერიო ბრძოლაა. კიეზასა და ასტიკას შუა ჩვენ პატრულებს მტერთან შეტაკება მოუხდათ. პოდოლის ღელეში მფრინავები მთელ ფრონტის მანძილზე დიდ მოქმედებას იჩენდნენ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

ქართულ გიმნაზიის დარბაზში

იწვევს წყალგაღმა უბნის წევრთა და თანამოაზრეთა

**კ რ ე ბ ა ს**

ივლისის 4 და 5. საღამოს 7 საათზე.

კრების საგანია: მომავალი ქალაქის არჩევნების ტეხნიკური და იდეური მხარე წევრებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

რეალურ სასწავლებლის დარბაზში იწვევს ცენტრალურ და სამთო უბნების წევრთა და თანამოაზრეთა

**კ რ ე ბ ა ს**

ივლისის 4 და 5-ს საღამოს 7 საათზე.

კრების საგანია: მომავალი ქალაქის არჩევნების ტეხნიკური და იდეური მხარე. წევრებს ვთხოვთ აუცილებლათ დაესწრონ.

## ახალი ამბავი.

**არჩევნების გარშემო.** ქალაქის ალშ. კომიტეტის საარჩევნო კომისია აცხადებს რომ იმპირთ, რომელთაც საარჩევნო ბარათი და კონვერტი არ მიუღიათ მოვალენი არიან 4. და 5 აგვისტოს სახლში იყვენ თუ არ მიუტანეს ბარათი, მაშინ პარასკევამდე უნდა განაცხადონ ამის შესახებ.

✦ **თითეულ** პოლიტიკურ პარტიისგან არჩევნების დღეს დასახმარებლათ მიწვეული იქნება 36 წარმომადგენელი

✦ **განცხადება** ქუთ. საგუბერნ. სასურსათო კომიტეტი აცხადებს, რომ მან თავის თავზე მიიღო ნიორის შესყიდვა, ტყემლის ტყლაპის და ვაშლის ჩილის დამზადება. კერძო პირთ ეკრძალებათ ჩამოთვლილ საგნების ყიდვა და გაზიდვა.

✦ **ვაჭრები** ვალდებულნი არიან მთელი საქონელი, რაც მათ ამ ჟამათ აქვთ, სავაჭროვები იქონიონ. საწყობებში შეუძლიათ შეინახონ მხოლოდ ისეთი საქონელი, რომელზეც ზედმეტ „პატენტს" იხდიან.

✦ **სასურსათო სამინისტროს განკარგულება.** სურსათ სამინისტრომ მთელ სახელმწიფოს სავალდებულო განკარგულება გამოსცა, რომლის ძალითაც მარიამობის თვის 15 დან იკრძალება ტკბილეულობის გამოცხობა, ტკბილ სასმელ წყლების დამზადება. შაქარი არც ერთ ტკბილეულების დამამზადებელ დაწესებულებას არ მიეცემა.

✦ **ამინდი.** ორი დღეა ქუთაისში წვიმა მოდის.

✦ **ქურდობა** მესხეთის ქუჩაზე გაქურდეს დათა მიქელეიშვილი წაიღეს შინაური ავეჯი და 100 მან ფულად.

✦ **ცნობა ჯარიდან.** გალიციის ასპარეზზე მოჰკლეს ქართველი ოფიცერი გიორგი დადვაძე.

✦ **სასტუმროების დაკეტვა.** გუბერნიის კომისარის განკარგულებით დაჰკეტეს სასტუმროები. „ოქროს ვერძი", „როსტოვი" და რესტორანი „სიცოცხლის წყარო."

✦ **წერილების დაკარგვა.** ძლიერ გახშირდა ფოსტით გამოგზავნილ წერილების დაკარგვას სჩივიან კერძო პირები. აგრეთვე ჩვენს რედაქციასაც მეტად ხშირად ეკარგება სხვა და სხვა ადგილებიდან გამოგზავნილი წერილები.

✦ **„საარჩევნო კომპანია."** ქუჩებში პარტიებმა გამოაკრეს ფურცლები და მოწოდებები. სამწუხაროთ ისეთი მოწამლული ატმოსფერა შეიქმნა რომ მოპირდაპირე პარტიები (უფრო კი მცირე წლოვანი და უპასუხისმგებლო პირნი) ერთმანეთს უხევენ პლაკატებს და იმის მაგივრათ თავისას აკრავენ.

გუშინ გაზ. ,,სოც. დემ.'' აღნიშნავდა, რომ ,,ჩვენი ქვეყნის'' მსახურმა ჩვენი ნუმერი თავის ნუმრათ გადააკეთაო. თუ ეს მართლა მოხდა, ჩვენ მწუხარებას გამოვსთქვამთ, მაგრამ ამასთანავე უნდა ავღნიშნოთ, რომ ,,სოც.-დემ.'' დამტარებელნი ჩვენს რედაქციის შენობაზე აკრავენ თავის პლაკატს ხევენ ჩვენსას და ლუქით აწეპავენ 1 ნუმერს. ასეთი საქციელი ყველასათვის საძრახისია და მას ჩვენ საერთოდ ვგმობთ.

✦ **მოწოდება. საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი მოუწოდებს წევრთ და თანამოაზრეთ რომელიც ქალაქში არ იმყოფებიან, აგვისტოს ხუთამდის დაბრუნდენ ქუთაისში.**

✦ **აგრეთვე ვსთხოვთ ყველა ახალგაზდათ (ქალთ და კაცთ) სტუდენტებს მოწაფეთ და სხვებს ყოველ დღე შემოვიდენ ეროვნ.-დემ. პარტიის კანცელარიაში. თბილისის ქუჩა, მიქელაძის სახლი.**

**თფილისი.**

ამიერ კავკასიის საოლქო საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა გ. ჟურული. მის ამხანაგებად ლებედევი, ალ. ხატისოვი და რცხილაძე. არჩეულ იქმნა აგრეთვე ოთხ წევრიანი სეკრეტარიატი.

✦ **ქართული ეკლესიის გარშემო.** ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტს წარუდგინა საქართველოს დროებით მართველობის დელეგაცია 4 კაცისაგან შემდგარი და მოხსენება წარუდგინა. სხვათა შორის დელეგაციამ აღნიშნა, რომ ნამდვილი ოფიციალი სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, რომ ამიერ-კავკასიაში 1365 ქართული [illegible] და მხოლოდ 769 რუსული. [illegible] ყოვლად შეუწყნარებელია ამ მცირე რიცხოვან სამრევლოსთვის ცალკე ეგზარხოსის [illegible] ... დელეგაციამ აგრეთვე მოითხოვა, რომ მომავალ ეგზარხოს არც ერთი ქართული ტიტული არ ეწოდოს, როგორც მაგალითად არქიეპისკოპოს თბილისისას.

✦ **ქართველ ეკლესიის მმართველობის შუამდგომლობა.** საქართველოს ეკლესიის დროებითმა მართველობამ შუამდგომლობა აღძრა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტის წინაშე, რომ შეზღუდულ იქნას მოქმედება ბაქოს ეპისკოპოზის გრიგოლის და ადგილობრივ სინოდალურ განყოფილების გამგის პოპოვის, რომელნიც დაუღალავად მუშაობენ არა სასარგებლოდ ქართულ ეკლესიისთვის.

✦ **სკოლების ნაციონალიზაციის გამო.** საქართველოს ეკლესიის დროებით მართველობას დაუდგენია, სკოლების ნაციონალიზაციის გარდა შეადგინოს და გამოსცეს ქართულ-მეგრული ლექსიკონი. თანხა გამოსაცემად უკვე გადადებულია.

✦ **სიღნაღის მაზრის** სასულიერო საბჭოთა კრების თავმჯდომარე ცინცაძე ტელეგრამით სთხოვს საქართველოს კათოლიკოსის მოსაყდრეს ყოვლად სამღვდელოს ლეონიდეს, რომ მისმა მეუფებამ იზრუნოს ბოდბის მონასტრის ქონების დაცვისთვის, რასაც იტაცებენ იღუმენია ანასტასიას მომხრე მონოზნები.

✦ **სამხედრო ცენზურა** სამხედრო ცენზურის შემოღების გამო პრესის ბიურომ გადასწყვიტა იშუამდგომლოს მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების წინაშე, რათა მოწვეულ იქნას ადგილობრივი პრესის წარმომადგენელთა ყრილობა, რომელიც გამოარკვევს სამხედრო ცენზურის ფორმას.

✦ **სომეხთა ეროვნული კრება.** მარიამობისთვის 6 მოხდება დელეგატების არჩევნები სომეხთა ეროვნულ კრებისა, თვით კრება კი მოკლე დროთი თბილისში იქნება მოწვეული.

✦ **ახალ ბატალიონებში ჩაწერილებს დასავლეთის ფრონტზე არ უშვებენ.** კავკასიის ფრონტის მთავარსარდალმა კავკასიის ჯარის სიკვდილისა და მტრის მცემელ ბატალიონებში ჩაწერა აუკრძალა. ამიტომ ყველა აქამდის ჩაწერილები ხსენებულ ბატალიონებს კი არ გაჰყვებიან დასავლეთის ფრონტზე, არამედ თანახმად მთავარ სარდლის განკარგულებისა, კავკასიის ფრონტზე უნდა დარჩნენ. მთავარსარდალმა გადასწყვიტა, რომ მათ დასავლეთის ფრონტზე გასაგზავნად მეშუამდგომლე დელეგაციებიც არ მიიღოს.

✦ **შავი ზღვის რკინის გზა.** ივლისის 31 მოხდა სხდომა ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტში შავი ზღვის რკინის გზის შესახებ. დადგენილ იქნა, რომ მიღებულ იქნას ყოველივე ზომები, რათა ჩქარა იქნას დათავებული რკინის გზის შენება. ამისთვის დაადგინეს აირჩიონ კომისარიატი ინჟინერთა და სპეციალისტთაგან შემდგარი, რომელშიაც შევლენ აგრეთვე მუშათა, ჯარისკაცთა გლეხთა დეპუტატების წარმომადგენლები. ეს კომისარიატი ხელმძღვანელობას გაუწევს რკინის გზის გაყვანას.

✦ **გიორგი ზდანოვიჩის ნეშთი.** ახლად გარდაცვალებულ პუბლიცისტ გიორგი ზდანოვიჩის ნეშთი ჩამოტანილ იქნება თბილისში და დაკრძალული ქართველ მოღვაწეთა პანთეონ ში.

## დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი.

დამფუძნებელ კრების არჩევნების განსასაზღვრავად შემდგარმა საბჭომ თიბათვის 9-ის სხდომაზე დაადგინა: „დამფუძნებელ კრების დეპუტატთა რიცხვი 800 არ უნდა აღემატებოდეს. ამ რიცხვში ითვლებიან მტრისგან დაჭერილ ადგილებიდან გამოგზავნილნი და აგრეთვე ფლოტისა და ლაშქრის დეპუტატები (პოლონეთის სამეფოს და ფინლიანდიის გარდა).

ამ დადგენილებას დროებითი მთავრობა დაამტკიცებს სრული იმედია, რომ დროებითი მთავრობა ხაზჭოს დადგენილებას მოიწონებს. მაშინ რუსეთში ერთი დეპუტატი საშუალოდ 200000 მცხოვრებზე მოვა.

რადგან ციმბირის აღმოსავლეთი მხარე მეტად თხლად და შორი შორს არის დასახლებული, ამიტომ მათ მეტი დეპუტატები ეყოლებათ. ასე რომ ისინი 1 დეპუტატს 140000 მცხოვრებზე გამოგზავნიან. კამჩატკაში მცხოვრებთ კი უფლება ეძლევათ 40000 მცხოვრებზე 1 დეპუტატი აირჩიონ.

რომ დეპუტატების საერთო რიცხვი არ გადიდდეს, დანარჩენ რუსეთში თითო დეპუტატს 220000 მცხოვრები კი არ აირჩევს, არამედ 215000—220000.

ვიცით რა თვითეულ გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვი—შეგვიძლიან გავიგოთ თუ რამდენი დეპუტატი ეყოლება ამა თუ იმ გუბერნიას დამფუძნებელ კრებაზე.

ქვემოთ ამის ცხრილიც მოგვყავს. ამასთან უნდა ვიცოდეთ, რომ გუბირნიების მცხოვრებთა რიცხვს ომში გაწვეულები არ ეთვლებიან. არ ეთვლებიან აგრეთვე ლტოლვილები იმ გუბერნიებისა, სადაც ისინი ლტოლვილან. ისინი ეთვლებიან მხოლოდ იმ გუბერნიების მცხოვრებთა რიცხვს, სადაც გადასახლდნენ.

ამასთან საჭიროა ვიცოდეთ რომ თვითეულ გუბერნიაზე—ქვემოთ მოყვანილ დეპუტატთა რიცხვის გადიდება ჯარის რაოდენობაზე იქნება დამოკიდებული, რადგან ზურგის ჯარი გუბერნიის მცხოვრებთან ერთად აირჩევს დეპუტატებს.

**დეპუტატთა რიცხვი გუბერნიებზე**
**კ ა ვ კ ა ს ი ა.**

| | | |
|---|---|---|
| 52. თფილისის . . ) | 1.546 | |
| 53. ზაქათალის ოლქი . ) | | |
| 64. ერივანის . . . . | 1.176 | |
| 55. ქუთაისის . . . ) | 1.064 | 32 |
| 56. სოხუმის ოლქი . ) | | |
| 57. ბაქოსი . . . . . | 1.395 | |
| 58. ბათომის . . . . | 158 | |
| 59. ელისავეტპოლის . . | 1.270 | |
| 60. ყარსის ოლქის. . . | 428 | |
| 61. ყუბანის ოლქი . . | 2.814 | |
| 62. დაღესტანის . . . | 712 | |
| 63. თერგის ოლქის . . | 1.331 | 23 |
| 64. შავი-ზღვის . . . . | 160 | |
| 65. სტავროპოლი . . . | 1.276 | 6 |

# ჩემი აზრი.

**ქართველ მწერალ-მოღვაწეთა პანთეონის შესახებ ქ. ქუთაისში.**

საზოგადო მოღვაწის და გამოჩენილ მწერალ-პუბლიცისტის გიორგი ზდანოვიჩის გადაცვალებამ ქუთაისის მოწინავე ელემენტების წრეებში დაბადა ის აზრი. რომ ქუთაისში თბილისის დიდუბის მსგზავსათ ერთ-ერთი ადგილი აღნიშნულ იქმნას მწერალ-მოღვაწეთა საპანთეონოდ. ქუთაისის საეთნოგრაფიო და საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-მა ტრ. ჯაფარიძემ, საეპარქიო აღმასრულებელ კომიტეტის წევრთ გააცნო ერთი ჯგუფის აზრი, რომ ქართველ მწერალ მოღვაწეთა პანთეონად ქ. ქუთაისში დანიშნულ იქმნას დიდებული ბაგრატის ტაძრის ნანგრევების ეზო და განსვენებული გიორგიც იქ დავასაფლაოთ, მაგრამ დამსწრეთა მიმართ აღნიშნული ადგილი ვერ იქმნა სასურველად ცნობილი და ეს კითხვა გამოურკვეველი დარჩა. მაშინ მე კრებას შემდეგი მოვახსენე: აუცილებლად საჭიროა ქ. ქუთაისში რაიმე სამლოცველოს დაარსება, რომელიც ამასთანვე ეროვნულ გრძნობებს უნდა აღვიძებდეს ქართველ ხალხში მეთქი, ამის საშვალებას კი გვაძლევს შემდეგი გარემოება მეთქი: თამარ დედოფალი ქართველი ერისგან წმიდანად არის აღიარებული და მის ხსენებას ქართველები პირველ მაისს დღესასწაულობენთქო. მე ფიქრად მქონდა, თუ ოდესმე ქუთაისში გადმოვიდოდი ქართველ ქალთა წრის დახმარებით წმ. თამარ დედოფლის სახელობაზედ ქ. ქუთაისში საძირკველი ჩაგვეყარა სამლოცველოსთვის რათა მაისი, რომელსაც ქუთათურები ისედაც დიდს აღფრთოვანებით ეგებებიან, ეროვნულ დღესასწაულად გადაგვექცია. და თუ ეს ასე მოხდება, ქართველ მწერალ- მოღვაწეთაც იქ დაუნიშნოთ განსასვენებელი ადგილი და პანთეონადაც ის მივიჩნიოთ მეთქი.

ვინაიდგან ამ ჩემმა განცხადებამ იმ კრებაზედ ვერ მოახდინა შესაფერი გავლენა და ვინაიდგან მე ეს ჩემი აზრი რამოდენიმე პატივსადებ პირებს გაუზიარე, რომელთაც დამავალეს ეს ჩემი განძრახვა ფართე საზოგადოებას ვამცნო პრესის საშვალებით, ამისათვის მივმართავ თხოვნით ამ საქმეში დაინტერესებულ პირთ თავიანთი აზრი გამოსთქვან ამ ფრიად დიდმნიშვნელოვან კითხვაზედ რადგან უპანთეონობა დიდ დაბრკოლებას ბადებს ქ. ქუთაისში. მახლობელი ნათესავების მეტმა არც კი იცის, თუ სად არიან დასაფლავებული მამია გურიელი, სამსონ თოფურია, ელენე ხელთუფლიშვილისა და მსგზავსნი მათნი

ამ ჟამად ნუ შეგვაშინებს ეკლესიის ასაშენებელი სახსრის უქონლობა, რადგან ჯერ-ჯერობით ადგილის არჩევა და პატარა სამლოცველო ნიშის აშენებაც საკმარისია ამ საქმისთვის, ხოლო მერე კი, მშვიდობის ჩამოგდების და დაწყნარების შემდეგ ადვილი მოსახერხებელი გახდება ამ საქმის მოგვარება, თუ ჩვენი ერის ორივე სქესი მხურვალედ მოეკიდება ამ საქმეს.

და სწორეთ ღირსეული სამაგიეროს გადახდაც იქნება ჩვენი მხრივ ძვირფასი გიორგის ხსოვნისა, იმ გიორგისა, რომელიც ზვარაკათ შეეწირა ქართველი ერის, როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიურ აღორძინებასა და წინსვლას და რომლის უტყუარი მოწამეც არის დაბა ჭიათურის და მის გარშემო სოფლების ევროპიულად მოწყობა.

**მღვდელი ვლადიმერ მაჭარაშვილი.**

# მოწერილი ამბები.

**ს. ბობოთი.** 30 ივლისს აქ მოხდა ამ სოფლის საზოგადოების კრება. თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა გიორგი რონიშვილი. განსახილველი იყო გზების, შკოლის და ეკლესიის საკითხები. კრებამ გადასწყვიტა გაიყვანონ ორ-ორ საჟნიანი გზები და ამის მოსაწესრიგებლათ შვიდი კაცისაგან შემდგარი კომისიაც აირჩია. შემდეგ დაისვა ორი საკითხი; ეკლესიისა და შკოლის აგების შესახებ და, რადგან ორივეს ერთათ გაკეთება ხალხმა შეუძლებლათ სცნო, ამიტომ დაადგინა, რომ დაუყონებლივ მოწესრიგებულ იქმნეს შკოლის საქმე, რომელიც იმავ კომისიას მიანდო; ხოლო ეკლესიის აგების საქმე დროებით გადაიდვა. კრებამ გადასწყვიტა შეეკითხოს მეზობელ სოფლებსაც და, თუ ისინი მოისურვებენ, ნება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ შკოლის, საშვალო ადგილზე, აშენებაში წინააღმდეგ შემთხვევაში, ბობოთი მაინც ააგებს შკოლას ბობოთშივე.

სოფლის დავალებით ულრმეს მადლობას ვუცხადებთ იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და თავისი წვლილი გაიღეს ამ სასარგებლო დაწესებულების ფონდის გასაძლიერებლათ. მოგვყავს ამ პირთა სია: კოდრატი სერგიასძე მხეიძემ—150 მან.; ლასი გიორგისძე უგრეხელიძემ—50 მან. და გიორგი რევაზისძე რონიშვილმა—25 მან.

**დიმ. უგრეხელიძე.**

# უ ც ხ ო ე თ ი.

პ. დ. ს.
დ ე პ ე შ ე ბ ი.

**საალყო წესები ისპანიაში.**

**პარიზი 31.** მადრიდიდან იუწყებიან: მინისტრების საბჭომ ძალლს ისპანიაში საალყო წესების გამოცხადება დაადგინა. სატახტო ქარაქში სრული სიწყნარეა.

**გედერსონის მაგიერი**

**ლონდონი.** აგვისტოს 1. ოფიციალი ცნობაა, რომ სამხედრო კაბინეტში მუშათა წარმომადგენლად გედერსონის მაგიერ კარნესი შევიდა. მისი დანიშნა მთავრობში მყოფ მუშათა წარმომადგენლებმა მოიწონეს.

**აღებ-მიცემობა სპარსეთსა და რუსეთს შორის**

**თეირანი.** 31 რუსეთ-სპარსეთის ბანკისა და ბაქოს სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლებმა გამართეს თათბირი ელჩთან რუსეთ სპარსეთის აღებ-მიცემობაზე და იმ აზრს დაადგნენ, რომ, რადგანაც რუსეთისთვის საჭიროა სანოვაგის შემოტანა სპარსეთიდან, შემოღებულ იქნას საალებ-მიცემო მონოპოლია ომის განმავლობაში.

**გედერსონის კაბინეტიდან გასვლა**

**ლონდონი.** ჰკათათვის 31. გამოქვეყნდა გედერსონის კაბინეტიდან გასვლის გამო მისსა და ლოიდ ჯორჯის შორის მიწერმოწერა. ლოიდ-ჯორჯი აუწყებს რა გედერსონს მის თანამდებობიდან გადადგომის მიღებას სწერს, რომ კაბინეტის დანარჩენი წევრები მეტად განცვიფრებულნი არიან გედერსონის მიერ მუშათა კონფერენციაზე დაჭერილ პოზიციით, რადგან მათ იმედი ჰქონდათ რომ გედერსონი სტოკჰოლმის კონფერენციაზე ბრიტანელ დელეგატების მონაწილეობას წინ აღუდგებოდა. მით უმეტეს, რომ მან უკვე იცოდა რუსეთის მთავრობის კონფერენციასთან დამოკიდებულება. რუსეთის მთავრობის განცხადება, რომ კონფერენციას იგი ისე უყურებს, როგორც პარტიულ საქმეს და კონფერენციის გარდაწყვეტილება მთავრობის მოქმედებას არ შეზღუდავსო. გედერსონს მიღებისამებრ ეცნობა. ცნობასთან გაყოლილი წერილი გამოსთქვამს იმ აზრს თითქოს ლონდონის ერთი გაზეთის თქმისა არ იყოს. რუსეთს ძალიან ჰსურდეს, რომ სტოკჰოლმის კონფერენცია შესდგეს, და რომ ამ არგუმენტის საზოგადო აზრზე იქაურ შრომისა და სოციალისტურ პარტიებზე ამ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ გავლენა არ მოახდინოსო,

**ქრისტიანების დევნა ოსმალეთში.**

**ათინა.** ივლისის 31. მცხოვრებნი ქალაქ კერასუნდისა, ორდოსა, ტერგბოლისა, სამსუნისა, ინებოლისა და მათი არემარისა გადაყვანილ იქმნენ მცირე აზიის შიდა ნაწილში. ბასრაში დასწვეს 20 სოფელი. ბრუსის ვილაეტში ქრისტიანთ მდგომარეობა ნაკლებ არ არის განწირული. საკავშირო ფლოტმა ჩააჩუმა კიდის ზარბაზნები, მათ შორის კარაბურუსი. რომელიც ესროდა ხალხსა.

# წერილი რედაქციის მიმართ.

მოქალაქე რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით, ულრმესი მადლობა გამოუცხადოთ იმ პირებს, რომელთაც შემოსწირეს სოფ. დარიხევის წმ. გიორგის ეკკლესიის კანკელის ასაგებათ:

1. მალხაზ კამკამიძემ 3 მ., 2. მინა კამკამიძემ 2 მ., 3. ეფროსინე კამკამიძისამ 5 მ., 4. თეოდოსია კამკამიძისამ 3 მ. 5. გიორგი ალფეზის ძე კამკამიძემ 2 მ., 6. ტერეზია კამკამიძისამ 2 მ., 7. ევლადია კამკამიძისამ 2 მ., 8. პავლე დეკანოსიძემ 1 მ., 9. ელენე დეკანოსიძისამ 1 მ., 10. თომა კამკამიძემ 1 მ., 11. ვერა კამკამიძისამ 1 მ., 12. ტატიანა კამკამიძისამ 50 კ., 13. სვიმონ ტარიელის ძე კამკამიძემ 2 მ., 14. თეოფილე კამკამიძემ 2 მ., 15. ტასია კამკამიძისამ 2 მ. 16. ზინაიდა კამკამიძისამ 2 მ., 17. სვიმონ ქაიხოსროს ძე კამკამიძემ 3 მ., 18. ნინო კამკამიძისამ 5 მ., 19. ქრისტინე კამკამიძისამ 5 მ., 20. გიორგი ივანეს ძე კამკამიძემ 2 მ., 21. პელაგია კამკამიძისამ 1 მ., 22. პავლე ზუმბულიძემ 2 მ., 23. ალექსანდრა ზუმბულიძისამ 1 მ., 24. მატრონე ზუმბულიძისამ 1 მ., 25. ამროსი ზუმბულიძემ 1 მ., 26. აკვილინა ზუმბულიძისამ 3 მ., 27. თამარა და გრიგოლ ზუმბულიძეებმა 1 მ., 28. ტერეზია კამკამიძისამ 5 მ., 29. მარიამ იორამ კამკამიძის ასულმა 3 მ., 30. ანტონ იორამისძე კამკამიძემ 3 მ., 31. ეფროსინე ლოლაძისამ 3 მ., 32. ფეშტევან ლოლაძისამ 1 მ., 33. ივლიტე ლოლაძისამ 1 მ., 34. ქრისტინე ლოლაძისამ 1 მ., 35. პლატონ და ვერა ლოლაძეებმა 1 მ. 36. ესაკია ლოლაძისამ 2 მ., 37. შუშანიკა ლოლაძისამ 2 მ., 38. ვასილ და იოსებ ლოლაძეებმა 3 მ., 39. აგრაფინა ლოლაძისამ 2 მ., 40. ატატო ლოლაძისამ 2 მან.

მღვდ. **პეტრე მიხელიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი
**დ. ბ. კვირკველია.**

# რკინიგზის მიმოსვლა.

დრო ადგილობრივია ნაჩვენები.

ქ ქუთაისს მოდის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 7 ს. 47 წ. |
| „ | — სალამ. | 8 ს. 49 „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 55 „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 42 „ |
| ფოთიდან | — დილის — | 8 ს. 17 „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. „ |
| | დილის — | 9 ს. 10 „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 „ |
| ბათუმიდან | დილის | 10 ს. 20 წ. |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | |
|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 8 ს. 25 „ |
| „ | — ღამის — | 10 ს. 20 „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 1 „ |
| „ | — დილის — | 6 ს. 20 „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 3 ს. 18 წ. |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 7 ს. 57 „ |
| | — დღით — | 2 ს. 37 „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 4 ს. 40 „ |
| ბათუმისაკენ | დღით | 1 ს. 40 წ. |


# ექიმები

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სხა. ტელეფონი 135 №.

**ვ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი ს. 7 თ.

[illegible] შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდი პუშკინისა და [illegible] ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ექიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე** იღებს შინაგანი, ბავშთა და ნერვების სნეულებით ავათმყოფებს ყოველ დღე დილის 11—2 საათ. საღამოს 7—9 ს. პუშკინის ქუჩა, ვიტემინსკის სახლი

დოკტორი მედიცინისა პრივატ დოცენტი **ვარლამ პავლეს ძე მოსეშვილი** დაბრუნდა და განაახლა მიღება ავათმყოფებისა დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდი.
მისამართი: გოსპიტლის ქუჩა საკუთარი სახლი.


გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფნი, მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ და ანტონ მერაბის ძენი კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგავაძისა, ზინა არჩილის ასული კილასონიასი და შალვა იაკობის ძე ჩოგოვაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს 1 ამ თვეს ქალაქ კიევში უდროვოთ გარდაცვალებას: პირველი უსაყვარლესი შვილისას, მეორენი და მესამენი ძმისას — მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის სამხედრო ექიმის

**ანდრო მერაბის ძე კილასონიას,**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დასაფლავება დანიშნულია შაბათს 5 აგვისტოს საღამოს 5 საათზე, გენერლის ქუჩის შესახვევი საკუთარი სახლი. პანაშვიდები ყოველდღე საღამოს 7 საათზე.


# დათიკო ქებაძე აცხადებს

მოქალაქენო! მივიღე გასასყიდათ:

## ქარვის საპონი

(янтарное мыло), საუკეთესო ხარისხისა როგორც სარეცხისთვის ისე კიდევ ხელ პირისათვის. ვირვანქიანი ნაჭერი 90 კაპეიკად

## სამარხვო ზეთი

წმინდა საუკეთესო ხარისხისა 1 გირ.— 1 მან. თამბაქო და პაპიროსი ზედ აღნიშნულ ფასებში იყიდება. მუშტრებს ვსთხოვ ხურდა ფული იქონიონ. ამ დღეებში მივიღებ „ლამპინა“-ს ასანთებს, რომელიც ათეული 50—55 კაპ. გაიყიდება. მოქალაქენო! მოითხოვეთ ყველგან „ქარვის საპონი“ თუ საპონი არ მოგეწონათ უკან მივიღებთ.

ელექტრო **„რადიუმი“** თეატრი

აგვისტოს 3, ნაჩვენები იქნება საუცხოვო სურათი

## სიყვარული დეკორაციებში

კინო-პიესა 4 ნაწ. მონაწ. **პოლონსკის და გორიჩევის.**

ელექტრო **„ამპირი“** თეატრი

აგვისტოს 3, ნაჩვენები იქნება საგულისხმიერო სურათი

## წარსულის საშინელება

(გაბედული მებოსტნე დრამა 4 ნაწ. მონაწ. ვიტუზოვის, გლინსკის და სხვა.

**მიმდინარე წლის 1 აგვისტოდან, ქ. ქუთაისში, ვორონცოვის ქუჩაზე, ძმ. ჩილინგაროვების საკანდიტეროს გვერდით ჭიჭინაძის სახლში გაიხსნა**

ჟურნალ-გაზეთების კანტორა

## „ლამპარი“

(განყოფილებაა სუვორინის მთავარ სააგენტოს), რომელსაც მოსდის ყველა, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთის სატახტო გამოცემები, დროს შესაფერი ბროშურები და წიგნები.

**გამგე მ. ტყაბლაძე.**

თბილისში მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულების გაზეთზე

## 1917 „საქართველო“ 1917

გაზეთის ფასი: მთელის წლით 15 მან. ნახევარი წლით—9 მან. 3 თვით 5 მანეთი, ერთის თვით 1 მან. 4 აბაზი. წლიურ ხელის მომწერთ ნაწილობითაც შეუძლიანთ ფულის გადახდა: ხელის მოწერის დროს 7 მან. 1 მარტს 5 მან. და 1 თიბათვეს 3 მან. მისამართის გამოცვლა 10 შაური ფოსტის მარკით.

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4, ანუ ფოსტის ყუთი № 76. **კანტორა** ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდე. **ტელეფონი** 15—73.

რედქტორი: **გრიგოლ ვეშაპელი.**
გამომცემელი: **ამხანაგობა „საქართველო“**